# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/258

ქ. თბილისი 23 სექტემბერი 2019

**„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის ზოგადი წესის“ დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის ზოგადი წესი“ დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**

დანართი

# საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის ზოგადი წესი

## მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) სახელობითი სტიპენდიის (შემდგომში სტიპენდია) დანიშვნისზოგადი საუნივერსიტეტო რეგულაციის მიზანია კონკრეტული სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისათვის შესამუშავებელი წესის (შემდგომში წესი) მინიმალური სტანდარტის განსაზღვრა.
2. წესი უნდა უზრუნველყოფდესსტიპენდიის სამართლიანად დანიშვნას, რითაც ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაში, საზოგადოებრივ და სხვა აქტიურობაში და ა.შ.
3. დაუშვებელია წესი იწვევდეს სტუდენტის ნებისმიერ დისკრიმინაციას, მათ შორის რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.
4. წესი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფდეს შესაბამისი კონკურსის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;
5. უნივერსიტეტში სახელობითი სტიპენდია შეიძლება დანიშნოს ფაკულტეტმა (სკოლამ), დამოუკიდებელმა სამეცნიერო-კვლევითმა ერთეულმა ან უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულმა ერთეულმა (შემდგომში ერთეული), რომელსაც გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი.
6. წინადადება სტიპენდიის დანიშვნის (შემოღების) შესახებ შეიძლება დააყენოს ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული რომელიმე ერთეულის ხელმძღვანელმა, მისმა ორგანიზაციულმა ერთეულმა ან თანამშრომელთა ჯგუფმა (არანაკლებ 5 პიროვნება).
7. გადაწყვეტილება სტიპენდიის დანიშვნის შესახებ და შესაბამისი წესი მიიღება ფაკულტეტის საბჭოს/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს/სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი ორგანოს (შემდგომში უფლებამოსილი ორგანო) მიერ, მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ და აისახება ბიუჯეტში არსებული წესით.
8. წესში მითითებული უნდა იყოს:
   - სტიპენდიის დანიშვნის მიზანი;
   - სტიპენდიების რაოდენობა და განაწილება სწავლების საფეხურებსა და პროგრამებს შორის;
   - სტიპენდიის ოდენობა;
   - სტიპენდიის გაცემის ხანგრძლივობა და პერიოდულობა;
   - სტიპენდიის დანიშვნის წინაპირობები;
   - შეზღუდვები სტიპენდიების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებით;
   - სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შექმნის წესი;
   - კომისიის უფლება-მოვალეობები;

- კომისიის მუშაობის რეგლამენტი;
- სტიპენდიანტების შერჩევის წესი;
- აპელაციების განხილვის წესი.

9. წესი არ მოიცავს გარე ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ საკუთარი ინიციატივით დაკრიტერიუმებით სტიპენდიის დანიშვნის შემთხვევებს.

**მუხლი 2. სტიპენდიის დანიშვნის მიზანი**

ამ მუხლში მოცემული უნდა იყოს სტიპენდიის დანიშვნის მიზანი/მიზნები, რაც შეიძლება იყოს ერთი მხრივ, სტუდენტთა დაინტერესებისგაძლიერება მაღალი აკადემიურ მოსწრების მიღწევა-შენარჩუნებაში, კვლევით მუშაობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობაში და სხვ., მეორე მხრივ, შესაბამის დარგში ღვაწლმოსილი მეცნიერის/პედაგოგის სახელის უკვდავყოფა.

**მუხლი 3. სტიპენდიების რაოდენობა და განაწილება სწავლების საფეხურებსა და პროგრამებს შორის**

მითითებული უნდა იყოს სწავლების რომელი საფეხურის, რომელი საგანმანათლებლო პროგრამის რამდენ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია.

**მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა**

მითითებული უნდა იყოს სტიპენდიის ოდენობა, ანუ ერთ ჯერზე გასაცემი თანხის ოდენობა ლარებში.

**მუხლი 5. სტიპენდიის გაცემის ხანგრძლივობა და პერიოდულობა**

მითითებული უნდა იყოს სტიპენდიის გაცემის ხანგრძლივობა (მაგალითად, სამი თვე, ერთი სემესტრი, ერთი წელიდა ა.შ.), აგრეთვე გაცემის პერიოდულობა (როგორც წესი, ყოველთვიური).

**მუხლი6. სტიპენდიის დანიშვნის წინაპირობები**

სტიპენდია შეიძლება ინიშნებოდეს რეგულარულად, მაგალითად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი კომისიის მიერ შერჩევის საფუძველზე.

**მუხლი7. შეზღუდვები სტიპენდიების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებით**

1. სტიპენდია შეიძლება არ დაენიშნოს:

- სწავლების რომელიმე საფეხურის/წლის/სემესტის სტუდენტებს (მაგალითად, მაგისტრატურის სტუდენტებს; სწავლების ყველა საფეხურის სწავლების პირველი წლის სტუდენტებს და ა.შ.);
- სტიპენდიის დანიშვნის მომენტისათვის სხვა სტიპენდიის/დაფინანსების მქონე სტუდენტს;
- სტიპენდიის დანიშვნის მომენტისათვის სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ/სტატუსშეჩერებულ პირს;
- წინა სასწავლო სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტს;
- წინა სასწავლო წელს/სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტს;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დამრღვევ სტუდენტს და სხვ.

2. სტიპენდია შეიძლება მოეხსნას:
   - სტიპენდიის გაცემის მომენტისათვის სხვა სტიპენდიის/დაფინანსების მქონე სტუდენტს;
   - სტიპენდიის გაცემის მომენტისათვის სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ/სტატუსშეჩერებულ პირს;
   - უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დამრღვევ სტუდენტს და სხვ.

**მუხლი8. სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოცხადება**

1. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის ჩატარების ვადებს, პირობებს, კანდიდატების მიერ განცხადების შემოტანის ვადებს, აგრეთვე წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ადგენს და აქვეყნებს სტიპენდიის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიმღები ფაკულტეტის საბჭო/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო/სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი ორგანო.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, რომელიც განცხადების სახით უნდა გამოიკრას ფაკულტეტის თვალსაჩინო ადგილებში, ასევე უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.
3. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა, კონკურსის ჩატარებისა და შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები, კრიტერიუმები და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

**მუხლი 9. სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შექმნის წესი**

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია, რომელიც იქმნებასტიპენდიის დანიშვნაზე გადაწყვეტილების მიმღები ფაკულტეტის საბჭოს/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის

სამეცნიერო საბჭოს/სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, 3-5 კაცის შემადგენლობით.

**მუხლი 10. კომისიის უფლება-მოვალეობები, მუშაობის რეგლამენტი და სტიპენდიანტების შერჩევის წესი**

1. კომისიას თავმჯდომარეობს უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი, ხოლო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის/არ ყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილე.
2. კომისია ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა მონაცემები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის შესახებ.
3. კომისია განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს, თანდართულ დოკუმენტებს და დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე გამოავლენს საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს/სტუდენტებს.
4. კომისია უფლებამოსილია, დეკანატისაგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ.
5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
7. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს.
8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.
9. კომისიის თავმჯდომარე კონკურსის შედეგებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

**მუხლი 11. სტიპენდიანტის შერჩევის წესი**

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის სტუდენტთა შერჩევა უნდა მოხდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად, სტუდენტის მიერ წინა სასწავლო წელს მიღწეული შედეგების მიხედვით, მიღებული შეფასებების საშუალო შეწონილი ქულის საფუძველზე.
2. ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიანტის გამოვლენა შეიძლება მოხდეს დამატებითი კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად:
   2.1. სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
   2.2. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
   2.3. საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობა;
   2.4. სხვა სახის საზოგადოებრივი აქტივობების დადასტურებული ინფორმაცია (სერტიფიკატები, დიპლომები, სიგელები და ა.შ.).

## მუხლი 12. აპელაციების განხილვის წესი

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს უფლებამოსილ ორგანოში.
2. ამ მინით განმცხადებელს/ კონკურსში მონაწილ ეკონკურსანტს ან საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს კონკურსის დასრულებიდან 3 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი უფლებამოსილ ორგანოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.
3. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განცხადების/ საჩივრის შეტანიდან 2 დღის განმავლობაში განიხილოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.
4. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას უფლებამოსილი ორგანო იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ წესით დადგენილი ნორმის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია კონკურსის შედეგზე.
5. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს ხელახალი კენჭისყრა.